გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქმე №3/1198
14 ივნისი 2006 წ ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ თ შაევერდაშვილმა ნ მალაციძის მდივნობით, მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის ქეთევან გორგიაშვილის , შპს„სპს კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენელი"-ს წარმომადგენლის ბონდო ალასანიას მონაწილეობით განიხილა მოსარჩელე მწვანე ალტერნატივეს სარჩელი მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შპს„სპს კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენელი"-ს, ს/ს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე დასაშვებობა.

აღწერილობითი ნაწილი

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე.
2003 წლის 24 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ შპს„სპს კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენელ"-ზე გასცა გარემოს დაცვითი ნებართვა № 0122, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალურ სათავსებით დროებით დასაწყობებისა და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ „ინსინირატორი"-ს ფუნქციონირების პროექტზე. აღნიშნული პროექტი გულისხმობდა ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის პროცესში მუშა მოსამსახურეთა ბანაკებისა და სამშენებლო მოედნებზე წარმოქმნილი ნარჩენის განთავსებას სპეციალურ სათავსებში ქ. მარნეულის შესასვლელთან მდებარე მშენებელთა ბანაკის გვერდით გამოყოფილ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე და მის გადატანას შემდგომი გადამუშავების მიზნით გარდაბნის რაიონის სოფ ჯანდარის მიმდებარედ განთავსებულ ნაგვის დასაწვავად დანადგარ ე.წ „ინსინირატორში"
საქადრთველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა 2004 წლის 16 სექტემბერს №55 ბრძანებით ბათილად ცნო 2003 წლის 24 დეკემბრის №0122 გარემოს დაცვითი ნებართვა
მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა 2004 წლის 16 სექტემბერის №55 ბრძანება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 24 დეკემბრის №0122 გარემოს დაცვითი ნებართვა
საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა მოსარჩელის წარმომადგენელი , და მოპასუხის ს/ს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენელი, მათ გაეგზავნათ სასამართლო შეტყობინება სსკ-ის

განხილვის შესახებ 70-78- მუხლებით დადგენილი წესით, მიერმოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე. შეკვეთილ წერილებზე მინაწერის თანახმად ,რომლითაც გაეგზავნათ სასამართლო უწყებები , „მწვანე ალტერნატივი-"ს კარები დაკეტილია და ვერ ჩაბარდა სასამართლო უწყება, ს/ს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციია გადასულია სხვა მისამართზე.

სსკ სსკ 76-ე მუხლის თანახმად მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართების შეცვლის შესახებ ,ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ჩაითვლება თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.(არსებობდეს) მოსარჩელეს სასამართლო უწყება გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე.

მოპასუხის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ დაუშვებლობისა გამო, რადგან სარჩელი შემოტანილია სასამართლოში ასკ 22 მუხლით დადგენილ სამთვიანი ვადის დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი

სასამართლომ მოისმინა მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა გაეცნო საქმეზე დართულ მასალებს და თვლის რომ მოსარჩელე „მწვანე ალტერნატივა"ს სარჩელი მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შპს„სპს კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენელი"-ს, ს/ს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციი"ს მიმართ ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე საქმე წარმოებით უნდა შეწყდეს შემდეგი გაემოებებისა გამო .

ნორმატიულ აქტების შესახებ კანონის თანახმად საქართველოს გარემოს დაცვისა დაბუნებრივი რესურსების მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბერის №55 ბრძანება ნორმატიული აქტია. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22 მუხლის თანახმად სარჩელი ნორმატიულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დასაშვებია , თუ სარჩელი აღძრულია სასამართლოში უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში. მოსარჩელის მიერ ნორმატიულ სამართლებრივი აქტი გასაჩივრებულია ნორმატიული აქტის მიღებიდან ხუთი თვის შემდეგ. ამდენად დარღვეულია სასამართლოში სარჩელის წარდგენის ასკ22 მუხლით დადგენილი სამთვიანი ვადა უშუალოდ ზიანის მიყენების ფაქტიდან

ასკ 26-2 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად სასამართლო განჩინებით წყვეტს საქმის წარმოებას თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22- 25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს პროცესის ნებისმიერ [illegible]

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ 1-ლი 12-ე 26-1 [illegible] 26-[illegible] მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, სსკ 285-ე მუხლით

დაადგინა

შეწყდეს საქმის წარმოება მოსარჩელე „მწვანე ალტერ[illegible]ა"ს სარჩელის გამო მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და ბ[illegible]ვრივი [illegible]ურსების

სამინისტროს, შპს„ხპს კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენელი"-ს, სს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიმართ საქართველოს გარემოს დაცვისა დაბუნებრივი რესურსების მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბერის №55 ბრძანების ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე დაუშვებლობისა გამო

მოსარჩელის მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 30 ლარის ოდენობით

განჩინებაზე შეიძლება კერძო სჩივრის შემოტანა 12 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე თბილისი სარაჯიშვილის შესახვევი №1ა განჩინების ასლის მხარეებისათვის ჩაბარების მომენტიდან

მოსამართლე: თ. შაკარიშვილი

შაევრდაშვილი